

**სასტუმრო შატო მერე - ში განთავსების და სხვა მომსახურებების მიღების  
სტანდარტული წესები და პირობები**

- ❖ სტანდარტული წესები და პირობები (შემდგომში „მომსახურების პირობები“) ვრცელდება სასტუმროს მიერ გაწეულ ყველა/ნებისმიერ მომსახურებაზე.
- ❖ იმ შემთხვევაში, თუკი ჯავშნის განხორციელების შემდეგ, სასტუმრო ანახლებს/ცვლის მომსახურების სტანდარტულ წესებსა და პირობებს, ყველა ცვლილება ხდება მომსახურების პირობების ნაწილი.
- ❖ მომსახურების პირობები ძალაში შედის მომხმარებლის მიერ სასტუმროს ნებისმიერი მომსახურების დაჯავშნის და/ან მომხმარებლის სასტუმროს ტერიტორიაზე შესვლის მომენტიდან.
- ❖ თუ სასტუმროს ნებისმიერი მომსახურების ჯავშანი ხორციელდება მესამე პირის სასარგებლოდ, ჯავშნის უშუალოდ განმხორციელებელი პირი, მომხმარებელთან ერთად სოლიდარულად არის პასუხისმგებელი მომსახურების პირობების შესრულებაზე, თუ სასტუმროსთან დამატებითი წერილობითი შეთანხმებით სხვა რაიმე არ იქნა დადგენილი.

**ოთახის დაკავება და ოთახის განთავსუფლება**

- ❖ მომხმარებელს დაჯავშნილი სასტუმრო ოთახი შეუძლია დაიკავოს სასტუმროში შემოსვლის დღეს 15:00 საათიდან. მას არ უნდა ქონდეს ნომერში მითითებულ დროზე ადრე შესვლის მოლოდინი. 15:00 საათამდე შემოსული სტუმარი, ოთახს დაიკავებს შესაძლებლობის მიხედვით შემდგომი დაგვარად ადრე.
- ❖ ოთახიდან გასვლის დღეს, სტუმარმა ოთახი 12:00 საათზე უნდა განთავსუფლოს. ოთახიდან 18:00 მდე გასვლის შემთხვევაში, სასტუმროს შეუძლია სტუმარს დამატებით დააკისროს ოთახის საფასურის 50%, ხოლო 18:00 საათიდან 100%.
- ❖ მომხმარებელს არ უნდა ქონდეს მოლოდინი რომელიმე კონკრეტული ოთახის დაკავებაზე თუ სასტუმრო წერილობით არ დაუდასტურებს კონკრეტული ოთახის ხელმისაწვდომობას.
- ❖ იმ შემთხვევაში, თუკი სასტუმროს მომსახურების ფასი წინასწარ არ არის სრულად გადახდილი, სასტუმროს ვალდებულება შეუნარჩუნოს მომხმარებელს ოთახი და/ან გაუწიოს სხვა ნებისმიერი შეთანხმებული მომსახურება შემოიფარგლება მხოლოდ წინასწარ გადახდილი ფასის პროპორციულად.

**ნომრით მომსახურების საფასურის გადახდის წესი**

- ❖ სასტუმროს ნომრით მომსახურების მთლიან ღირებულებას მომხმარებელი იხდის ჯავშნის განხორციელებისთანავე, სასტუმროს მიერ ჯავშნის დადასტურებისას. მომხმარებელს გადახდილი ღირებულების 100% უკან დაუბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის ჯავშნის გაუქმების შესახებ სასტუმროს წერილობით აცნობებს ჯავშნით გათვალისწინებული მომსახურების პერიოდის დადგომამდე 72 საათით ადრე ინდივიდუალური ჯავშნის შემთხვევაში, და ექვსი კალენდარული დღით ადრე ორგანიზაციების და/ან ჯგუფური ჯავშნის შემთხვევაში. ამასთან, მომსახურების გაწევის პერიოდის ათვლა იწყება სასტუმროში განთავსების თარიღის დადგომამდე.
- ❖ დადგენილი/შეთანხმებული საფასური მოიცავს დღგ-ს. თუ მომსახურების პირობების ძალაში შესვლის შემდეგ დღგ-ის დადგენილი განაკვეთი შეიცვლება, ასეთი ცვლილება გამოიწვევს ღირებულების შესაბამის ცვლილებას.
- ❖ იმ შემთხვევაში თუ ჯავშნის განხორციელებისა და მომსახურების გაწევას შორის პერიოდი აღემატება ოთხ თვეს და ამ პერიოდში სასტუმროს მომსახურების საფასური გაიზარდება, საფასურის ცვლილება გავრცელდება შეთანხმებულ მომსახურებაზეც.

**სასტუმროს სხვა მომსახურების, ღონისძიების მოწყობის საფასურის გადახდის წესი და პირობები**

- ❖ სასტუმროს მიერ ნებისმიერი სხვა (გარდა ნომრით უზრუნველყოფისა) მომსახურების გაწევის ღირებულება განისაზღვრება სასტუმროსა და მომხმარებელს შორის წერილობითი შეთანხმებით და გადაიხდება წინასწარ. ეს მომსახურებები მოიცავს, მაგრამ არ ამოიწურება, კონფერენციის ან სხვა საქმიანი თუ სადღესასწაულო ღონისძიების ჯავშანს, ასეთი ღონისძიებების მოწყობას, ღვინის ტურს - დეგუსტაციას, მესამე პირის მომსახურების უზრუნველყოფას და სხვა შეთანხმებულ მომსახურებას. ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასური მოიცავს მესამე პირის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მიერ გაწეულ ხარჯებსაც.
- ❖ მომხმარებელს უფლება აქვს გააუქმოს ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებები სასტუმროსთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტუმროს უფლება აქვს შეთანხმებული მთლიანი ღირებულება გადახდევინოს მომხმარებელს. სასტუმრო მომხმარებელს შეთანხმებული მომსახურების (მომსახურებების) გაუქმების ხარჯებს შემდეგი წესით გადაახდევინებს:
  - 50% ღონისძიების დაწყებამდე 3 თვით ადრე
  - 80% ღონისძიების დაწყებამდე 1 თვით ადრე
  - 90% ღონისძიების დაწყებამდე 14 დღით ადრე.
- ❖ თუ სასტუმრო გონივრული მიზეზით, ან, მომხმარებლის მიერ მომსახურების პირობების უხეშად დარღვევის საფუძველზე, ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას (უარს აცხადებს მომსახურების გაწევაზე) და/ან აუქმებს ჯავშანს, მომხმარებელს არ აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.
- ❖ სასტუმროს ნებისმიერი შეთანხმებული მომსახურების დადგენილი/შეთანხმებული საფასური მოთხოვნისთანავე უნდა იქნას გადახდილი, თუ გადახდის განსხვავებული ვადები და პირობები, როგორც გამონაკლისი, წერილობით არ არის შეთანხმებული სასტუმროსთან. სასტუმროს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს მომსახურების საფასურის გადახდა.
- ❖ ჯავშნის განხორციელების შემდეგ, სასტუმროს უფლება აქვს მომხმარებელს მოთხოვოს წინასწარი გადახდა, საკრედიტო ბარათის გარანტია, ან მსგავსი. თუ მომსახურების საფასურის წინასწარი გადახდა არ განხორციელდება შეთანხმებულ პერიოდში, სასტუმრო უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს

ჯავშანი, უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე და მოითხოვოს ზარალის და/ან გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

სასტუმროსა და მომხმარებელს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.